პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 305 (10081)

შაბათი, 25 დეკემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
კანდიდატების დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში (1-ლი გვერდი).
კიევის მრეწველობამ 1954 წლის სახელმწიფო გეგმა ვადამდე შეასრულა (1-ლი გვერდი).
საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა (მე-2 გვერდი).
საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე. — პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე (მე-2 გვერდი).
გ. მარუაშვილი. — გავაძლიეროთ მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი პროპაგანდა (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
მედვედოვსკელი მექანიზატორები საქართველოში (მე-3 გვერდი).
ე. მაჩაბელი. — მოვაწესრიგოთ საბოლოო ანგარიშგება (მე-3 გვერდი).
საფრანგეთის ეროვნულ კრებაში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკულად განვახორციელოთ კომუნისტთა წინადადებები

ჩვენი რესპუბლიკის ტევრ პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები, მოეწყო რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები. პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები მიმდინარეობს კომუნისტების მაღალი პოლიტიკური აქტივობის, მათი პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლების ვითარებაში. ყოველივე ეს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ზრდის, მათი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის გაძლიერების მკაფიო დადასტურებაა.

პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალი და საქმიანი განხილვა წარმოადგენს პარტიის თვითეული წევრის უდავო უფლებას, რომელიც გამომდინარეობს შინაპარტიული დემოკრატიიდან. მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე შეიძლება გაიშალოს თვითკრიტიკა და განმტკიცდეს პარტიული დისციპლინა. სარგებლობენ რა ამ საწესდებო უფლებით, კომუნისტები საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და პარტიულ კონფერენციებზე გულდასმით განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შედეგებს, პრინციპული კრიტიკითა და თვითკრიტიკით ამხილებენ პარტიული ორგანოების და მათი ხელმძღვანელების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ავლინებენ დამატებით რეზერვებს სამეურნეო და კულტურული შენებლობის ტემპის გასაძლიერებლად.

კომუნისტების საქმიანი წინადადებანი გამოხატულებას პოულობენ საანგარიშო-საარჩევნო კრებების, საქალაქო და რაიონული კონფერენციების გადაწყვეტილებებში, რომლებშიც დასახულია მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. ახლა პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების უპირველესი მოვალეობაა შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღონ მიღებულ გადაწყვეტილებათა, კომუნისტების წინადადებათა სწრაფად და თანმიმდევრულად პრაქტიკული განხორციელებისათვის.

ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგა ნაკლოვანებათა გამოსწორებას, რომლებზეც მიუთითებდნენ კომუნისტები თავიანთ გამოსვლებში. თბილისის მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი საანგარიშო-საარჩევნო კრების დადგენილების და კომუნისტებისაგან მიღებული განაწესის განხორციელებას. ერთი თვის განმავლობაში, რაც საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ გავიდა, პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთა მიღებული დადგენილების შესასრულებლად. შესამჩნევად გაძლიერდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. დამატებით გამოიყო 5 აგიტატორი. პარტორგანიზაციის თაოსნობით მოსკოვის აგურის ქარხნების მდიდარი გამოცდილების გასაცნობად საწარმოო მივლინებაში გაიგზავნენ საამქროს უფროსი ნ. ღლონტი, ცვლის უფროსი ლ. ცხომელიძე და გამომწველი ა. მხეიძე. პარტიულმა ორგანიზაციამ გააძლიერა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. ქარხნის კოლექტივი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის და ვალდებულება იკისრა მომავალი წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვას 5 მილიონი ცალი აგური.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის ენერგიული მუშაობა გაჩაღეს აგრეთვე თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის და წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციებმა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაიწყებას მისცა საანგარიშო-საარჩევნო კრების დადგენილება და კომუნისტების კრიტიკული შენიშვნები, ჯერ კიდევ არ შესდგომია მათ განხორციელებას, თუმცა კრების შემდეგ თვეზე მეტი ხანი გავიდა.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა მკვეთრად გააკრიტიკეს კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტორგანიზაციის მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. მათ აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობაში არ სრულდება პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის გეგმები, ფერმებში უსუფთაობაა, პირუტყვს ცუდად უვლიან, შესაკეთებელია ბინები და სხვ. ამ საკითხზე პარტორგანიზაციამ ბევრჯერ იმსჯელა, ბევრი დადგენილებაც მიიღო, მაგრამ ეს დადგენილებანი არ შესრულებულა და მდგომარეობა კვლავ უცვლელია. კომუნისტებმა მოითხოვეს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება. ამის შემდეგ თვენახევარი გავიდა, მაგრამ პარტორგანიზაციის მდივანს ნ. ქაჩიძაიას არაფერი გაუკეთებია კომუნისტების კრიტიკული შენიშვნებისა და საქმიანი წინადადებების განსახორციელებლად.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო დადგენილების მიღება არ კმარა. კარგი დადგენილება ფარატინა ქაღალდად იქცევა, თუ არ ვიზრუნეთ მისი შესრულების ორგანიზაციისათვის. ამიტომ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები მოვალენი არიან ყურადღებით შეისწავლონ საანგარიშო-საარჩევნო კრებების შედეგები, ღრმა ანალიზი გაუკეთონ კომუნისტების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს, დაუყოვნებლივ მიიღონ გადამჭრელი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გასაძლიერებლად.

კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ბევრი სამართლიანი შენიშვნა გამოთქვეს რაიკომების, ქალაქკომების ცალკეულ მუშაკთა მისამართით. კერძოდ, აღინიშნა, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი იშვიათად იმყოფება რიგით კომუნისტებთან, მუშებთან და კოლმეურნეებთან, ხშირად არ საუბრობს მათთან, არ ესწრება პარტიულ კრებებს, ხოლო თუ დაესწრება, თავი ისე უჭირავს, როგორც სტუმარს, არ გამოდის კომუნისტების წინაშე.

პარტიულმა კომიტეტებმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ კომუნისტების არც ერთი კრიტიკული შენიშვნა, საქმიანად უნდა იზრუნონ ყველა მათი არსებითი წინადადების განხორციელებისათვის. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მიზანშეწონილია პარტიული კომიტეტების პლენუმებზე და ბიუროს სხდომებზე განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება ეს წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები. საანგარიშო-საარჩევნო კრებებისადმი და ამ კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს პარტიული მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

უკვე დაიწყო მზადება საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართონ ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის, გააძლიერონ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, ღრმად განუმარტონ მშრომელებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, დარაზმონ ისინი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად.

ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

21 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შედგა ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. კაჭარავასი „ი. ბ. სტალინი — ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობი“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ყვანიასი „ი. ბ. სტალინის ბრძოლა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმისათვის“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ა. კიკვიძისა „ი. ბ. სტალინი ხალხთა მეგობრობის როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების საფუძვლის შესახებ“.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები

სოხუმი, 24 დეკემბერი. (საქდესი). აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება — დაინიშნოს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1955 წლის 27 თებერვალს.

აჭარის ასსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები

ბათუმი, 24 დეკემბერი. (საქდესი). აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება — დაინიშნოს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს, აგრეთვე აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1955 წლის 27 თებერვალს.

ქუთაისელი მშენებლების მილწევა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისმშენის პირველმა სამშენებლო სამმართველომ, რომელიც ოცამდე ახალი ობიექტის მშენებლობაზე მუშაობს, 15 დეკემბერს 103,6 პროცენტით შეასრულა მიმდინარე წლის სამშენებლო პროგრამა.

ამ სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა გადაწყვიტა წლის ბოლომდე დამატებით შეასრულოს ნახევარი მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები.

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები გაანაღდეს

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები. ხორცის სავალდებულო ჩაბარების გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით, სახელმწიფო შესყიდვისა — 100 პროცენტით, ყველის სავალდებულო ჩაბარებისა — 101 პროცენტით, კვერცხის სავალდებულო ჩაბარებისა — 116 პროცენტით, სახელმწიფო შესყიდვისა — 140 პროცენტით, მატყლის ჩაბარებისა — 121 პროცენტით, მტს-ის სამუშაოთა ნატურანაზღაურებისა — 100 პროცენტით.



თბილისი. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ახალგაზრდა ამწყობი-ზეინკლები დ. ცეცხლაძე და ვ. ოვჩარენკო. **სურათზე:** დ. ცეცხლაძე (მარცხნივ) და ვ. ოვჩარენკო მილსაჭრელი ჩარხის აწყობისას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

◁ ★ ▷

სამმართველო აპარატიდან — წარმოებაში

მეტალურგთა სამუშაო ადგილებზე

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მრავალმა გამოთქვა სურვილი ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატიდან საამქროებში სამუშაოდ გადასვლის შესახებ.

ასეთი განცხადებით ქარხნის ადმინისტრაციას ერთერთმა პირველმა მიმართა ქსელებისა და ქვესადგურების საამქროს უფროსმა მოანგარიშემ თამარ მაღალაშვილმა. სურვილი შეუსრულეს. იგი ელექტრიკოსობას ინდივიდუალურად სწავლობს ინჟინერ გ. ლაშქარაშვილთან.

მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს ბუხჰალტერი ლ. დათუნაშვილი შუადგა ელექტროამწის მართვის შესწავლას.

საწარმოში სამუშაოდ გადაყვანა მოითხოვეს ბლუმინგის საამქროს უფროსმა ბუხჰალტერმა ვ. ჩერნიავსკიმ, საბრძმედე საამქროს აღმრიცხველმა ვ. საპრონოვამ და სხვებმა — სულ 70 მოსამსახურემ.

ქარხნის ადმინისტრაცია სამმართველო აპარატიდან საამქროებში სამუშაოდ გადასულთ დიდ დახმარებას უწევს ახალი პროფესიების შესწავლაში.

მეტრიკოტაჟეებს 19 კაცი შეემატა

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში სამმართველო აპარატის მუშაკებმა მასობრივად განაცხადეს წარმოებაში გადასვლისა და ახალი პროფესიების შესწავლის სურვილი. კომბინატის ხელმძღვანელებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის გაუმჯობესებისა და გამარტივების მიზნით ბევრი მათგანი გადაიყვანონ საამქროებში. ამჟამად გადაყვანილია და ახალ პროფესიას ინდივიდუალური წესით სწავლობს 19 კაცი.

ძაფის რთვას ბეჯითად ეუფლება ე. კოპალეიშვილი, რომელიც დღემდე სამღებრო საამქროს აღმრიცხველად მუშაობდა. საკრეხი საამქროს ქრონომეტრაჟისტი ვ. საჩკოვა ძაფის გადამხვევ მანქანაზე გადაყვანილ იქნა. ახალ პროფესიებს ეუფლებიან აგრეთვე აღმრიცხველები ნ. ბრეგვაძე, ე. ავლიანსკაია, ტ. ფილტმანი, ზ. სტარცოვა და სხვ. ახალი პროფესიების შესწავლის შემდეგ ისინი დამოუკიდებლად იმუშავებენ დაზგებთან და მათი გამომუშავება წინანდელ ხელფასზე ორჯერ მეტი იქნება.

თვითეულ შრომადღეზე 18 მანეთი ავანსად

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის კულტურას წამყვანი ადგილი უჭირავს. წელს აქ მოკრეფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 400,4 ტონა ხარისხოვანი ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 380 ტონისა. სიმინდის მოსავალი ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა, ხოლო კვადრატულ-ბუდობრივი წესით ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 55 ცენტნერი სიმინდი.

კოლმეურნეობაში თვითეულ შრომადღეზე გარდა მარცვლეულისა ავანსად გასცეს 18 მანეთი. ი. შენგელიას ოჯახმა, რომელსაც 1.200 შრომადღე აქვს გამომუშავებული, ავანსად 21.600 მანეთი და 2.400 კილოგრამი სიმინდი მიიღო. ლ. შენგელიას ოჯახს ავანსად 18 ათასი მანეთი და 2 ტონაზე მეტი სიმინდი ერგო. კოლმეურნეობიდან ასევე დიდი თანხა და ბევრი მარცვლეული მიიღეს კ. ყალიჩავას, თ. წულაიას, ნ. შენგელიას ოჯახებმა.

თელეთის მტს-ის წარმატება

თელეთის მტს-მა მზრალად ხვნის დავალება 149 პროცენტით შეასრულა. მოხნულია 1.490 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 ჰექტარისა.

მზრალად ხვნის დავალების შესრულებაში თავი ისახელეს ბრიგადებმა, რომლებსაც გ. კირლიჩენკო და ს. სარუხანოვი ხელმძღვანელობენ. მზრალად ხვნა გრძელდება.

კანდიდატების დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

24 დეკემბერს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დაიწყო კანდიდატების დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება დასახელოს კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მ. მ. ლელაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. **მ. ა. მეგრელიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დასახელა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ე. ა. სეხნიაშვილი.**

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივის ხალხმრავალმა კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად დასახელა წარმოების მოწინავე მუშაკი მჭედელი ამხ. **კ. მ. ილურიძე.**

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **თ. ბ. ჯანელიძე.**

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა კრებამ გადახილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატურის დასახელების საკითხი. ერთსულოვნად მიღებულია გადაწყვეტილება ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულ იქნას მოწინავე მეფოლადე ამხ. **ი. ს. მოროზოვი.**

გორის რაიონის სოფელ შავშვების მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულ იქნას მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ი. ბუჯიაშვილი.** (საქდესი).

კიევის მრეწველობამ 1954 წლის სახელმწიფო გეგმა ვადამდე შეასრულა

კიევი, 21 დეკემბერი. (საკდესი). კიევის მრეწველობამ დღეს შეასრულა მთლიანი პროდუქციისა და მეტი წილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმის 1954 წლის სახელმწიფო გეგმა. 1953 წელთან შედარებით მთლიანი პროდუქციის გამოშვება 22 პროცენტით გადიდდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა კოქსქიმიური და სამედიცინო მრეწველობის მოწყობილობის, სახალხო მოხმარების სხვადასხვა საქონლის — შალისა და ბამბის ქსოვილების, ფეხსაცმლისა და შეკერილი ნაწარმის წარმოება.

ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა გადამეტებით შეასრულეს ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოების გეგმა.

ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივებმა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით წელს აითვისეს მრავალი ახალი სახეობის პროდუქცია — საზღვაო თევზსაჭერი ტრაულერები, მიწისსათხრელი მანქანები, ახალი ჩარხ-ავტომატები, პოლიგრაფიული და კვების მრეწველობის მოწყობილობა, ჰიდროსადგურების, ელექტროგადაცემათა და ელექტროფიცირებული რკინიგზების მაღალვოლტიანი ხაზების რთული აპარატურა, აბრეშუმის ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და საოჯახო საგნების ახალი სახეობანი.

იმ მოწინავე კოლექტივებს შორის, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო გეგმა და ღირსეულად განაზორციელეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი, არიან ქარხნები: „ტრანსსიგნალი“, ლენინის სახელობისა, პისმენის სახელობისა, ქარხანა „გალის ჯაჭვი“, ელექტრომექანიკური, „წითელი მრეზენი“, საინსტრუმენტო, კიევის ვაგონშემკეთებელი, კიევის აბრეშუმის კომბინატი, ფეხსაცმლის პირველი, მეოთხე, მეექვსე და მეცამეტე ფაბრიკები და სხვ.

წარმატებით ასრულებენ სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვას რკინიგზისა და სამდინარო ტრანსპორტის მუშაკები. ტვირთის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა სამხრეთ-დასავლეთის რკინიგზის კიევის განყოფილების სადგურებზე შარშანდელთან შედარებით 8,8 პროცენტით გაიზარდა, ვაგონების ბრუნვა დაჩქარდა. ნოვატორმა მემანქანეებმა წლის დამდეგიდან გაატარეს 10 ათასი მძიმე წონის მატარებელი, რომლებითაც გადაზიდულია 4 მილიონ ტონამდე სხვადასხვა ტვირთი.

ვადამდე შეასრულეს ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა დნეპრის სანაოსნოს მემდინარეებმა. წარმატებით გამოიყენეს რა ბიძგებით გეგმების ტარების ახალი პროგრესული მეთოდი, მათ გადაზიდეს 12 პროცენტით მეტი ტვირთი, ვიდრე 1953 წელს.

1954 წელი იყო შემდგომი ტექნიკური პროგრესის, ახალ პატრიოტულ წამოწყებათა და წარმოების ნოვატორთა და მოწინავეთა რიგების ზრდის წელი.

მიმდინარე წლის 11 თვის მანძილზე შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება კიევის მრეწველობამ მთლიანად შეასრულა. 1953 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერება 9,7 პროცენტით გაზარდა.

იმასთან ერთად, რომ ქალაქის მრეწველობამ მთლიანად წარმატებით შეასრულა გეგმა, ზოგიერთმა ქარხანამ და ფაბრიკამ ვერ გაანაღდა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და სახელმწიფო დავალებანი.

კიეველები, ისევე როგორც მთელი უკრაინელი ხალხი, მხურვალედ უჭერენ რა მხარს მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას, მთელ ძალღონეს იხმარენ იმას, რომ ვადაზე ადრე დამთავრონ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა და ღირსეული წვლილი შეიტანონ საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

ახალი პოლიგრაფიული მანქანები

შჩერბაკოვი. (საკდესი). ჩვენი ქვეყნის მრავალ წიგნის ფაბრიკასა და სტამბაში მუშაობს მანქანები შჩერბაკოვის ქარხანა „პოლიგრაფმანქანის“ მარკით. საწარმოს კოლექტივი შრომობს ახალი მანქანების შექმნისათვის, აუმჯობესებს მოქმედ მოწყობილობას.

უკანასკნელი წელწადნახევრის მანძილზე გამოშვებულია წიგნისა და ჟურნალის მანქანები, რომლებიც ბეჭდავენ წიგნებს მრავალი ილუსტრაციით. ათვისებულია გაუმჯობესებული ცალმხრივ მბეჭდავი ოფსეტის მანქანის წარმოება. ფართოდ გავრცელდა შჩერბაკოვის ქარხნის ორმხრივი ბრტყელი საბეჭდი მანქანები, რომლებიც უშვებენ ილუსტრირებულ გამოცემებს.

ახლა მანქანათმშენებლები აკეთებენ ახალ მანქანებს. ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ნ. ა. შიშკინმა საკდესის კორესპონდენტს უამბო:

— ინჟინრებმა და კონსტრუქტორებმა წარმოების მუშებთან თანამშრომლობით შექმნეს წიგნისა და ჟურნალის ახალი, უფრო სრულყოფილი საროტაციო მანქანა. მთავრდება მისი პირველი ნიმუშების აწყობა. აგრეგატი გათვალისწინებულია დიდი ფორმატის წიგნების დასაბეჭდად. წარმოებაში გადასაცემად მზადდება მეორე ეფექტიანი მანქანა — ორმხრივი ფლატის ოფსეტი ილუსტრირებული გამოცემების დასაბეჭდად.

ქარხანაში მუშავდება ახალი საბეჭდი აგრეგატის — ფლატის საროტაციო მანქანის კონსტრუქცია. იგი შეცვლის ბრტყელ საბეჭდ მანქანებს და მათზე ერთისამად უფრო დიდი წარმადობა ექნება. კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ეს მანქანა წარმოებას გადასცეს 1955 წელს, ნაცვლად 1956 წლისა, როგორც ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

ასაწყობი სახლები მწყემსებისათვის

სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა დაამზადეს ასაწყობ-დასაშლელი სახლები ამ მეცხოველე-მწყემსებისათვის, რომლებიც პირუტყვს სამომთაბარეო საძოვრებზე მწყემსავენ.

თვითეული ასეთი სახლი გათვალისწინებულია ოთხი კაცისათვის. იქ არის ოთხი საწოლი ადგილი, ასაკეცი მაგიდა, ღუმელი.

სახლი აწყობა დათბუნებული ფარებისაგან. სამ მწყემსს შეუძლია იგი ერთ საათში აიწყოს.

ამ პროდუქციის პირველი გამოშვება გაიგზავნა ყაზახეთსა და შუა აზიაში. (საკდესი).

ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

21 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შედგა ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. კაჭარავასი „ი. ბ. სტალინი — ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობი“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ყვანიასი „ი. ბ. სტალინის ბრძოლა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმისათვის“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ა. კიკვიძისა „ი. ბ. სტალინი ხალხთა მეგობრობის როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების საფუძვლის შესახებ“.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

21 დეკემბრის დილის სხდომაზე, რომელიც **ბ. ჭერბანიანის** თავმჯდომარეობით გაიხსნა, გრძელდებოდა მოხსენებათა და თანამოხსენებათა განხილვა. დელეგატები თავიანთ გამოსვლებში ლაპარაკობენ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე, ანალიზს უკეთებენ მწერალთა ნაწარმოებებს, აკრიტიკებენ კავშირის საქმიანობის ნაკლოვანებებს, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა მწერლების კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა ხალხთან. საბჭოთა ლიტერატურისა და ხალხის ერთიანობის ცოცხალი გამოხატულებაა ნაკადი მოსასალმებელი დეპეშებისა და წერილებისა, რომლებიც ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან კავშირის სახლის სვეტებიან დარბაზში მოდის. მწერალთა ყრილობას მიესალმებიან ტიკსის პოლარელები და წითელდრმოვანი კრონშტადტის სამხედრო მეზღვაურები, ბელორუსი კომკავშირელები და ოდესის ოლქის კოლმეურნეები, ლენინგრადის ქარხანა „ვოლკანის“ ახალგაზრდა მუშები და პ. ანგელინას სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტები...

პირველი გამოვიდა პოეტი **ა. იაშინი.** მან თქვა, რომ პოეზიამ ვერ შენიშნა უდიდესი ძვრები, რომლებიც ოხდა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში, და ის სიძნელენი, რომლებიც სოფელმა გადალახა. მეორე მხრივ, ზოგიერთ ომისშემდგომ ლექსში არის სინამდვილის შელამაზების ელემენტები. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა სინამდვილის მართალი ასახვისათვის მწერლების პასუხისმგებლობის გრძნობაზე.

ესტონელმა მწერალმა **ლ. რემელგასმა** ილაპარაკა სოციალისტური რეალიზმის მეთოდზე, რომლის საფუძველზეც ვითარდება არა მარტო საბჭოთა ლიტერატურა, არამედ მსოფლიოს მთელი პროგრესული ლიტერატურაც.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მწერლების კავშირი საკმაო ყურადღებას არ აქცევს ესტონელ მწერლებს. მოსკოვიდან ესტონეთში პერიოდულად გზავნიან ეგრეწოდებულ კონსულტანტებს, რომლებიც ხშირად კარგად ვერ ერკვევიან ესტონეთის ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

სიტყვა ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ამხ. **ა. ნ. კოროპოვს,** რომელმაც წაიკითხა საბჭოთა პროფკავშირების მისალმება ყრილობისადმი.

მისალმებაში აღნიშნულია, რომ თავიანთი ნაწარმოებებით მწერლები დიდ გავლენას ახდენენ საბჭოთა მკითხველის — პატიოსანი, მშრომელის, მშვიდობისათვის მტკიცე მებრძოლის, მაღალი მორალის ადამიანის სულიერი სახის ჩამოყალიბებაზე. მასების კომუნისტურ აღზრდაში პროფკავშირები ფართოდ იყენებენ საბჭოთა ლიტერატურას.

ყველა პროფესიის მშრომელნი, ნათქვამია მისალმებაში, თავიანთი მწერლებისაგან მოელიან ახალ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო, რომლებშიც მწერლები თავიანთი გმირების სახით გვიჩვენებენ მათი შრომითი საქმიანობის, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებას განუყოფელი ერთიანობით. მუშები და მოსაშაურეები მწერლებისაგან მოელიან აგრეთვე მაღალიდეური და მაღალმხატვრულ რეპერტუარს მხატვრული თვითმოქმედების დრამატული კოლექტივებისათვის.

ალექსი ტალვირმა (რუსეთის ასსრ) ილაპარაკა თარგმნის საკითხებზე. მან დაგმო ბრკალებით თარგმნა, რომლის დროსაც მთარგმნელს ხშირად არათუ არ შეუძლია გადმოსცეს ორიგინალის სიმდიდრე და სილამაზე, არამედ ზოგჯერ ამახინჯებს ავტორის ტექსტს. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა და გამგეობამ, ამბობს ორატორი, უნდა განაზოგადონ თარგმნითი მუშაობის გამოცდილება.

მწერალი **კ. მალიკოვი** ლაპარაკობს ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში ლიტერატურის განვითარებაზე. იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს შესუსტდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკების ლიტერატურებთან, კავშირის წარმომადგენლები იქ ჩამოდიან მარტო პლენუმებსა და ყრილობებზე.

ყრილობას მიესალმა ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **იან დრდა.** იგი ლაპარაკობს საბჭოთა ლიტერატურის დიდ პოპულარობაზე, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში გადაიქცა შესანიშნავ თანამშემწედ ახალი სოციალისტური ადამიანის აღზრდის საქმეში.

ჩვენ, ჩეხებსა და სლოვაკებს, თქვენთან, საბჭოთა ადამიანებთან, განაცხადა მან, გვაკავშირებს არა მარტო ჩვენი ლიტერატურების ძმური მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა ამ ასპარეზზე. ჩვენ თქვენთან გაერთიანებული ვართ ათასობით სხვა დარგშიც, დაკავშირებული ვართ მთელი ცხოვრებით. ჩვენთვის ურღვევი ზნეობრივი კავშირია სიტყვები, რომლებიც ჩაგვინერგა გულში დაუვიწყარმა ამხანაგმა გოტვალდმა:

„სამუდამოდ საბჭოთა კავშირთან!“

ამ სიტყვებს დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან.

ტრიბუნაზე ადის ცნობილი ჩეხი მწერალი **მარია მაიეროვა.** იგი ყრილობას საჩუქრად გადასცემს ჩეხოსლოვაკიის ოსტატების მიერ ლამაზად შესრულებულ დიდ ბროლის ვაზას.

შემდეგ ყრილობის მონაწილეებს მიესალმა პროგრესული პოლანდიელი მწერალი **ტეინ დე ფრისი.** იგი ალტაცებით ლაპარაკობს საბჭოთა ლიტერატურაზე და იმაზე, თუ რა კეთილნაყოფიერი გავლენა აქვს მას უცხოთის მოწინავე მწერლების შემოქმედებაზე.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე **ო. ბერგოლცი, პ. კოზლანიუკი,** ბამკირი მწერალი **მ. ქარიმი, ხ. კორსანოვი, ი. რუგოვი** (ყირელია-ფინეთის სსრ).

21 დეკემბრის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს **ა. ლუპანი.** პირველი გამოდის **ე. პოპოვკინი,** რომელიც ლაპარაკობს ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში მცხოვრები რუსი მწერლების მუშაობაზე.

კ. ჩუკოვსკიმ თავისი სიტყვა მიუძღვნა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის წიგნების ენის პრობლემებს. კ. ჩუკოვსკი მკვეთრად და გულისწყრომით ლაპარაკობს მხატვრული ნაწარმოებების, კრიტიკული სტატიებისა და მეცნიერული შრომების ენის კანცელარიული, ტრაფარეტული გამოთქმებით, მკვდარი ეპითეტებით, შაბლონური სიტყვებით დანაგვიანების წინააღმდეგ.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის კულტურის მინისტრს **გ. თ. ალექსანდროვს.**

საბჭოთა მწერლების მოღვაწეობა, თქვა მან, ორგანულად ეწყმის ჩვენი ქვეყნის ყველა კულტურული დაწესებულების მუშაობას, და თუ საბჭოთა კულტურის ამკაბად მსოფლიო მნიშვნელობის თვალსაჩინო მიღწევები აქვს, იგი ამას დიდად უნდა უმადლოდეს მხატვრულ ლიტერატურას, ჩვენს საბჭოთა მწერლებს.

შემდეგ ამხ. **ალექსანდროვი** ლაპარაკობს ჩვენს ქვეყანაში წიგნის გამომცემლობის განვითარებაზე. მარტო 1953 წელს გამოიცა თითქმის მილიარდი ცალი წიგნი. წიგნი სულიერად ამდიდრებს ხალხს, ხელს უწყობს მას სოციალისტურად მოაწყოს თავისი შრომა, თავისი ცხოვრება. ამიტომაც ესოდენ დიდია ჩვენში მოთხოვნილება წიგნზე. უახლოეს წლებში უნდა გავაორკეცოთ, ამბობს ორატორი, ხოლო შემდეგ გავასამკეცოთ წიგნების რაოდენობა და მათი გამოცემა ავიყვანოთ წელიწადში ორ-სამ მილიარდ ცალამდე. მხატვრული ლიტერატურის გამოცემის დაგეგმვის სისტემაში კი, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ყრილობის რამდენიმე დელეგატი, უწესრიგობაა, კერძოდ, ზოგიერთი გამომცემლობა ცდილობს გამზეურებით გამოსცეს რამდენიმე ერთი და იგივე ნაწარმოები და ძალიან გაუბედავად ზრდის ახალ ლიტერატურულ ძალებს. საჭიროა უფრო გაბედულად გამოიცეს ახალგაზრდა საბჭოთა მწერლების ნაწარმოებნი.

ეხება რა ლიტერატურული თეორიის დარგში თეორიული აზრის ჩამორჩენის საკითხს, ორატორი აღნიშნავს, რომ ეს ჩამორჩენა ძალიან წარმატებით გადაილახოს, თუ ჩვენი მწერლები უალრესად ენერგიულ მონაწილეობას მიიღებენ თანამედროვე ლიტერატურული თეორიის საარსებო საკითხების დამუშავებაში. საჭიროა განახლდეს გორკის შესანიშნავი ტრადიცია — მწერალთა მონაწილეობა სარედაქციო მუშაობაში.

ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის ლიტერატურის იდეებისა და სახეების გაცნობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საშუალებაა, ამბობს ამხ. ალექსანდროვი, კინო — ყველაზე მასობრივი და ჩვენი ხალხის საყვარელი ხელოვნება. ამკამად პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა იღებენ ღონისძიებებს, რათა საბჭოთა კინემატოგრაფია ფართო გზაზე გამოიყვანონ. დიდი სახსრები იხარჯება ჩვენი ქვეყნის მძლავრი კინოინდუსტრიის შესაქმნელად.

კინოფილმების გამოშვების გადიდებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სცენარების მომზადებას. საქმე ეხება მწერალთა დიდ გაწვევას კინოში, მთელი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციას კინოხელოვნების აღმავლობისათვის.

მე ვფიქრობ, განაგრძობს ამხ. ალექსანდროვი, რომ მიზანშწონილი იქნება საბჭოთა მწერლების კავშირის ახალ წესდებაში შეტანილ იქნას მითითება, რომ მუშაობა თეატრსა და კინოს დარგში მწერალთა ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ტრიბუნაზეა **მიხეილ შოლოხოვი,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან. გამოთქვა რა კრიტიკული შენიშვნები მომხსენებლისა და თანამომხსენებელთა მიმართ, მან შემდეგ ილაპარაკა მწერალთა დიდ პასუხისმგებლობაზე თავიანთი ხალხის წინაშე.

ახასიათებს რა ომისშემდგომი წლების ლიტერატურას, მ. შოლოხოვს მის ძირითად ნაკლად მიაჩნია ის, რომ კარგ ნაწარმოებებთან ერთად მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოდის მდარე წიგნები, რომლებსაც ხშირად ქმნიან არც თუ ახალგაზრდა მწერლები. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ მწერლებმა შეასუსტეს მომთხოვნელობა თავიანთი თავისადმი და რომ დაქვეითდა კრიტიკის დონე.

ყრილობის დელეგატებს მეგობრული სიტყვებით მიესალმა რუმინელი პოეტი **მიხაი ბენიუკი.** მან განაცხადა, რომ საბალხო რუმინეთის მკითხველებს უყვართ და აფასებენ საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებებს, რომლებიც მათ ასწავლიან ახალი ცხოვრების შენებას.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. **ა. ვენცლოვა,** აკადემიკოსი **ვ. ვ. ვინოგრადოვი, გ. ნიკოლაევა.**

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის 22 დეკემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ მოხსენების გამო, აგრეთვე მხატვრული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, კინოდრამატურგიის, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკის ძირითადი პრობლემების, სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის მხატვრული თარგმანების შესახებ თანამოხსენებათა გამო.

უკვე გამოთქვა აზრი ზევრმა ორატორმა — საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის წარმომადგენლებმა, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ყრილობის ტრიბუნიდან გაისმოდა ავრეთვე ბევრი ჩვენი მეგობრის — მსოფლიოს პროგრესული მწერლების სიტყვები.

დილის სხდომა გაიხსნა **ი. შმუელის** თავმჯდომარეობით.

გამოდის პროფესორი **დ. ბლაგოი.** იგი ლაპარაკობს კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ზოგიერთ პრობლემაზე.

მწერალმა **ა. კარავაევამ** ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა უფრო ღრმად იქნას შესწავლილი ისეთი მწერლების ტრადიციები და სტილი, როგორიც არიან სერაფიმოვიჩი, ფურმანოვი, ნ. ოსტროვსკი, მაკარენკო.

შემდეგ ყრილობას ლექსით მიესალმა თურქმენეთის სახალხო პოეტი **ატა სალიხი.**

აზერბაიჯანელი მწერალი **მ. ჰუსეინი** ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს რუსული საბჭოთა ლიტერატურის დიდ ტრადიციებს სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების განვითარებისათვის. იგი ამბობს, რომ საჭიროა ცოცხლად, ღრმად შევისწავლოთ ეს ტრადიციები და მოვეკიდოთ მაგენ მიმდამეკვლოსს.

ავსტრიელმა მწერალმა **ერნსტ ფიშერმა** თავის სიტყვაში თქვა:

— თქვენმა ლიტერატურამ განუზომლად ბევრი რამ მოგვცა დეკადენტობასთან, იმპერიალიზმის ბარბაროსობასთან საბრძოლველად, მშვიდობისათვის, ჰუმანურობისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად. ნება მიბოძეთ გადმოგცეთ ავსტრიელი მკითხველის მრავალი სალამი და მადლობა.

ს. გოლუბოვმა ილაპარაკა ისტორიული რომანის პრობლემებზე. მან აღნიშნა, რომ ამ ჟანრში დაუმუშავებელია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ისტორიულ-რევოლუციური თემები, და სურვილი გამოთქვა, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა მეტ ყურადღებას აქცევდეს ისტორიული რომანის განვითარებასა და მიმართულებას.

შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსმა **გ. ი. ზელენკომ** თავის სიტყვაში მწერლებს მოუწოდა შექმნან მეტი ნაწარმოებნი შრომის ადამიანებზე, ახალგაზრდა მუშებზე, ხელოსნებზე, საინტერესოდ და მიმზიდველად მოგვითხრონ მუშა ახალგაზრდობაზე.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ყრილობის მისალამებლად მუსიკით შემოდიან შრომითი რეზერვების მოსწავლეები. გონდამახვილური, მოსწრებული სიტყვებით, ლექსით და სიმღერით მოაგონებენ ისინი მწერლებს თავიანთ მოვალეობას, იმას, რომ ახალგაზრდობა ელოდება ახალ კარგ წიგნებს. მოსწავლეებმა ყრილობას მიართვეს თავიანთი ნახელავი საჩუქრები.

ვ. სობკომ თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოანდომა უკრაინული ლიტერატურის ანალიზს. შემდეგ მან ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა განვითარდეს სატირული ჟანრი.

მირზო ტურსუნ-ზადე ლაპარაკობს მწერალთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმების უდიდეს მნიშვნელობაზე მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაგრძელდეს და გამრავლდეს გორკის შესანიშნავი ტრადიციები, რომ დიდი მწერლები სათუთად და მზრუნველობით უნდა ზრდიდნენ ნიჭიერ ლიტერატურულ ახალგაზრდობას.

მირზო ტურსუნ-ზადემ თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა საბჭოთა აღმოსავლეთის თანამედროვე პოეზიის, კლასიკური მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისების საკითხებს.

ფინელი მწერლების სალამი და მუშაობაში წარმატების სურვილი გადასცა ყრილობას მწერალმა **ოსკარ პარლანდმა.**

ყრილობის სახელზე კვლავ მოდის მთელი მსოფლიოს კულტურის მოღვაწეთა მისალმებანი.

ამხ. **დმიტრკომ** გამოაქვეყნა ჩინელი მწერლების კავშირის, ბრაზილიელი მწერლების ეროვნული ასოციაციის, კორეელი მწერლების კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სახელმწიფოების მწერლების მისალმებანი.

(საკდესი).

მოსკოვი. საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ყრილობის დელეგატები ა. სურკოვი, მ. შოლოხოვი და ვ. კატაევი. ფოტო ვ. სავოსტიანოვისა და ვ. ეგოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა—ახალი ამოცანების დონეზე

გ ო რ ი

გაიმართა VII საქალაქო პარტიული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ტატიშვილმა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოავლინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ საქალაქო კომიტეტის საქმიანობის განხილვისას, აქამდე მთლიანად გამოსწორებული არ არის, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ დგას პარტიის მიერ დასახული ამოცანების დონეზე.

— ბამბეულის კომბინატის ხვედრითი წონა, — თქვა მომხსენებელმა, — ქალაქის ეკონომიკაში ძალიან დიდია. მაგრამ იმის გამო, რომ კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ შეასუსტა ხელმძღვანელობა, მოადუნა პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობა, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველ რიგში კი მისი მდივნები არადამაკმაყოფილებლად ეხმარებოდნენ მას მუშაობაში, საწარმო სისტემატურად ვერ ასრულებს სახელმწიფო გეგმას.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე სიტყვებით გამოსული დელეგატების უმრავლესობამ გვერდი აუარა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს. ამის გამო ბოლომდე არ იქნა გამომჟღავნებული იდეოლოგიური მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. დელეგატთა ერთი ნაწილის გამოსვლა არ იყო თვითკრიტიკული. განსაკუთრებით ეს ითქმის ამხ. ვ. ოქუაშვილის, ნ. ჯოჯიშვილის, ს. მაღალაშვილის გამოსვლებზე.

ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექციების იდეურ-პოლიტიკური დონე ზოგჯერ დაბალია, მაგრამ ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ამხ. შ. ლოლაძე ცალკეულ სტუდენტთა მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტების დასახელებით, ცუდად მომუშავე ზოგიერთი კათედრის ჩამოთვლით დაკმაყოფილდა. მან საჭიროდ არ ჩათვალა კონფერენციაზე პირუთვნელად გაეკრიტიკებინა ის ლექტორები, რომლებიც დაბალხარისხოვან ლექციებს კითხულობენ. ამხ. ლოლაძემ არაფერი თქვა აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევა პარტიული იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, არ გაუკრიტიკებია პარტიის საქალაქო კომიტეტი სუსტი დახმარებისათვის.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება მიექცა სალექციო პროპაგანდის საკითხებს. აღინიშნა, რომ განსაკუთრებით ცოტა იკითხება ლექცია-მოხსენებები ხალხთა მეგობრობისა და მშრომელთა ინტერნაციონალური სულისკვეთების აღზრდის თემებზე. ამასთან ლექციების იდეური დონე ხშირად დაბალია. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორის ს. მაკალათიას ლექცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ, რომელიც მან ამ რამდენიმე ხნის წინათ წაიკითხა, სერიოზულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს შეიცავდა.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ობოლაძემ ილაპარაკა კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის არსებით ნაკლოვანებებზე და ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებებზე.

კონფერენციამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა სათანადო ღონისძიებანი და აირჩია საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

* * *

შედგა ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. გ. ტატიშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ა. სავანელი, მდივნად — ამხ. შ. ციბილაშვილი.

მ. ხეთაგური.

ფ ო თ ი

ფოთის პარტიულმა ორგანიზაციამ, — აღინიშნა საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, — მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა პარტიის XIX ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ქალაქის საწარმოებმა მიმდინარე წლის საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა 106,9 პროცენტით შეასრულეს.

ამასთან ერთად მომხსენებელმა — საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. შენგელიამ და კამათის მონაწილეებმა მწვავედ გააკრიტიკეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. როგორც კონფერენციაზე ითქვა, ფოთის ნავსადგურმა ვერ შეასრულა 11 თვის საწარმოო დავალება, ხოლო დეკემბერში ამ მხრივ არათუ გარდატეხა არ იგრძნობა, პირიქით, მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ახალ სამეურნეო წელს არასახარბიელო შედეგებით ეგებება რკინიგზის კვანძი, რომელიც ვერ ასრულებს ვაგონების დატვირთვის დავალებას.

კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ, მიუხედავად იდეოლოგიური მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, ბევრ პოლიტსკოლასა და წრეში მეცადინეობა დაბალ დონეზე მიმდინარეობს, მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ფორმალიზმის ელემენტები. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიული სწავლება წინსქეილკომბინატისა და მთელ რიგ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში. მეთევზეობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში 10-მა კომუნისტმა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი გამოთქვა, მაგრამ არსებითად მეცადინეობას დღემდე არ შესდგომიან. ასეთივე მდგომარეობაა მიწისმწოვი მანქანების მშენებელი ქარხნის და საავადმყოფო-პოლიკლინიკის პარტიულ ორგანიზაციებში.

დელეგატებმა მწვავედ გააკრიტიკეს კოლხიდის მტს-ის დირექტორი ამხ. ვ. გოგინავა და მთავარი აგრონომი ამხ. შ. ძნელაძე, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად. მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში წელს სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ 16,4 ცენტნერი შეადგინა ნაცვლად 30 ცენტნერისა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ო. გოცირიძემ.

კონფერენციამ პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო. არჩეულია საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

* * *

შედგა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. შენგელია, მეორე მდივნად — ამხ. დ. გუჯაბიძე, მდივნად — ამხ. თ. მანაგაძე, ხოლო მდივნად მტს-ის ზონაში — ამხ. რ. ცომაია.

ა. პატარაია.

თ ე ლ ა ვ ი

პარტიის თელავის რაიკომმა ბევრი სხდომა, თათბირი და კრება მიუძღვნა მეცხოველეობის განვითარების საკითხებს, დადგენილებანიც ბევრი მიიღო, მაგრამ შედეგები კვლავ არასახარბიელია.

მიუხედავად ამისა, რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე რაიკომის მდივანმა ამხ. ა. უთიაშვილმა საანგარიშო მოხსენებაში მეცხოველეობის საკითხებს მცირე ადგილი დაუთმო. სალაპარაკო კი ბევრი იყო. მაგალითად ფშავლის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობა შეუწყნარებლად ჩამორჩება. ბუშეტის, წინანდლის, შალაურის, ლალისყურის, ართანის და ნაფარეულის კოლმეურნეობებმა წველადობის წლიური დავალება საანგარიშოდაც ვერ შეასრულეს. ამ კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრებისთვისაც ცუდად მოემზადნენ.

კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ფ. ორკოდაშვილმა კონფერენციაზე განაცხადა, პირუტყვისათვის კულტურული ბინა აუგაგეთო. შემდეგ გამორკვა, რომ ბინაში წყალი არ მიუყვანიათ, განათება არ მოუწყვიათ. ამხ. ორკოდაშვილს კი ასეთი ბინა „კულტურულად“ მიაჩნია.

რაიონში სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. ეს კონფერენციასაც დაეტყო, სასანგარიშო მოხსენება ნაკლებ კრიტიკული იყო. ასეთივე იყო დელეგატების. ამხ. ნ. ჩხოტუას, რ. შათირიშვილის, ვ. მოდებაძის, ა. ნადაშვილის და სხვების განცხადებანი. გამონაკლისს შეადგენდა თელავის მტს-ის პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ხანჯალაშვილი. მან აღნიშნა, რომ რაიკომი ნაკლებად იბრძოდა საზოგადოებრივი ქონების დასაცავად, არასწორად არჩევდა და ანაწილებდა კადრებს.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ჯავახიშვილმა.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

* * *

გაიმართა რაიკომის პლენუმი, რომელმაც პარტიის თელავის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ზ. გელდიაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ა. ასათიანი, მდივნებად მტს-ების ზონებში — ამხ. ლ. საჩიშვილი, ნ. იანგარაშვილი.

ს. ქოჩლაძე.

ა ხ ა ლ ც ი ხ ე

ორ დღეს მიმდინარეობდა ახალციხის რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელზეც საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ჩიკვილაძემ. კონფერენციის მონაწილეებმა, აღნიშნეს რა რაიონის პარტიული ორგანიზაციის ბევრ მოპოვებული წარმატებები, მწვავედ გააკრიტიკეს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის სუსტი მხარეები.

დელეგატებმა გამოამჟღავნეს ახალციხის ქვანახშირის ტრესტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რომელმაც ვერ უზრუნველყო სათბობის მოპოვების 11 თვის გეგმის შესრულება.

კამათის მონაწილეებმა პირუთვნელად ამხილეს საგეგეტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებანი. დელეგატებმა ამხ. პ. კისელიოვმა, გ. კაპანაძემ და ს. მოვსესიანმა განაცხადეს, რომ რაიკომი სუსტად მუშაობს პროპაგანდისტებთან, ნაკლებად ზრუნავს სოფლის ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ჩუბინიძე.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი და აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

* * *

შედგა რაიკომის პლენუმი, რომელმაც პარტიის ახალციხის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. კ. კაპანაძე, მეორე მდივნად — ამხ. ი. ჩიკვილაძე, მდივნად მტს-ის ზონაში — ამხ. გ. გვარამაძე.

ნ. ფარჯანაძე.

მ ცხ ე თ ა

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა მცხეთის რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელზეც საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. სეხნიაშვილმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამასთან მათ განაცხადეს, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია დისციპლინა, ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე არ მონაწილეობს საკოლმეურნეო წარმოებაში. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მეცხოველეობისა და მეხოხბლეობის განვითარებაში. ეს ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ღრმად ვერ სწვდებიან სოფლის მეურნეობის ეკონომიკას, სუსტად იბრძვიან კომუნისტების ავანგარდული როლის აძაღლებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მასებში პოლიტიკურ მუშაობას.

დელეგატებმა გააკრიტიკეს მცხეთის მტს-ისა და მტს-ის ზონაში პარტიის რაიკომის მუშაობა ჯგუფის მუშაობა. კოლმეურნეობებში შეუწყნარებლად ჭიანურდება ფერმების მშენებლობა, დაგროვებული არ არის საკმაო საკვები, ნაკლები ყურადღება ექცევა მტს-ს და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულებების შესრულებას. რაიკომის მდივნები და ზონის ინსტრუქტორები ჯერ კიდევ კონკრეტულად ვერ ხელმძღვანელობენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი. რაიკომის პირველ მდივნად აირჩეულია ამხ. გ. სეხნიაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ზ. ბირზიაშვილი, მდივნად მტს-ის ზონაში ამხ. ვ. ბერუჩაშვილი.

გ. მჟედლიშვილი.

ხ უ ლ ო

გაიხილეს რა რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ქონიაძე გააკეთა, კონფერენციის დელეგატებმა ილაპარაკეს იმ მიღწეულებზე, რომლებიც რაიონის კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა მოიპოვეს. გადაჭარბებით არის შესრულებული სიმინდის, ყურძნის, კარტოფილის, თამბაქოს და სხვა კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის სულადობის გადიდების გეგმები.

მ

წერილები რედაქციას

მებრძმედეთა სასადილოში წესრიგი უნდა დამყარდეს

ზემდგომ ორგანოებში მრავალი სიგნალი შევიდა სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს № 2 სასადილოს ცუდი მუშაობის შესახებ. ეს საკითხი დეკემბრის დამდეგს პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანიც გახდა. დაისახა ღონისძიებანი. თვეზე მეტია შეიცვალა სასადილოს გამგე და მომსახურე პერსონალი, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

საამქროს მებრძმედეებს სადილობისას დიდი დრო ეკარგებათ, რაც გამოწვეულია იმით, რომ სამჯერ უხდებათ რიგში დადგომა — პირველად სადილის ჩეკების, მეორედ ბუფეტში პურის, მესამედ — შეკვეთილი კერძის მისაღებად.

სასადილოში ორი თერმული ჭურჭელი ჰქონდათ, მაგრამ მათგან ერთი, როგორც გაფუჭებული, ცოტა ხნის წინათ სხვა სასადილოს გადასცეს. განზრახული იყო ადმინისტრაციის დახმარებით საბრძმედე საამქროს სასადილო კუთხეში მოეწყოთ ელექტროქურა, რომელზეც საჭიროების შემთხვევაში სასადილოდან ამოტანილ კერძებს გააცხელებდნენ, მაგრამ დღემდე ესეც მოუგვარებელია.

როგორც წესი, გამზადებული კერძების ხარისხს ექიმი ან მისი თანაშემწე უნდა ამოწმებდეს, მებრძმედეთა სასადილოში კი ამ ფუნქციას რამდენიმე დღეა თვითონ უფროსი მზარეული ი. გოგუაძე ასრულებს.

სასადილოს არა აქვს ხორცის საჭრელი მანქანა, მაცივარი, საკმაო შეშა. არადამაკმაყოფილებელია ბოსტნეულით მომარაგება.

არის მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების ფაქტები. მაგალითად, 13 დეკემბერს სასადილოს მებუფეტემ ზ. ვადაჭკორიან ელექტროზეინკალ ზ. ბლუაშვილს 50 გრამი პური დააკლო, მემონტაჟე მ. ხაჩატურიანს, ელექტრომონტიორ ა. ჩაბანს და სხვებს ორ-ორ მანეთად მიჰყიდა 1 მანეთად და 66 კაპიკად ღირებული ლიმონათი. ამავე დღეს მიმტანმა მ. კორობიცინამ, რომელიც მოლარის მოვალეობას ასრულებდა, შეშა ი. ნიკულინს სადილის ჩეკებში 43 კაპიკი ზედმეტი გადაახდევინა, არც სხვა მუშებს აძლევდა კუთვნილ ხურდას.

დროა მებრძმედეთა სასადილოში წესრიგი დამყარდეს.

მ. ვაჩდიაშვილი,
სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს უფროსი მეაირე, რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ვ. კოტბერიძე,
საამქროს უფროსი ოსტატი.

რაჭიმ არ გვანვლიან ჟურნალ-გაზეთებს

უნივერსიტეტის ქუჩა № 5. — ასეთია სამკურნალო კომბინატის საცხოვრებელი სახლის მისამართი. ეს კარგად იცის კავშირგაბმულობის მე-9 საფოსტო განყოფილებამ, მაგრამ მას მაინც არა ჰყავს გამოყოფილი გაზეთის დამტარებელი, რომელიც ამ სახლს მოემსახურებოდა. ამიტომ ჟურნალ-გაზეთები და წერილები ხშირად იკარგება ან დიდი დაგვიანებით მისდის ხელმომწერლებს. ამ სახლის მცხოვრებლებმა ბევრჯერ მივმართეთ უნივერსიტეტის საფოსტო განყოფილებას, საიდანაც აღნიშნული სახლის მისამართით საფოსტო გზავნილებანი მოდის, მაგრამ სისტემატურად უხეშ პასუხს ვიღებთ. იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთმა მცხოვრებმა ამანათზე უწყება ჯარიმით მიიღო, იმიტომ რომ დროზე „არ წაიღო“ თავისი ამანათი. აღმოჩნდა, რომ უწყებას მთელი თვე უმოგზაურია უნივერსიტეტსა და მე-9 საფოსტო განყოფილებას შორის.

ნუთუ ეს საკითხი არ უნდა მოგვარდეს?

ნათელა კლიმიაშვილი,
სოფიო მაჭავარიანი.
უნივერსიტეტის ქ. № 5 სახლის მობინადრენი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საჩუქანი საქმის მოყვარეენი“

ამ სათაურით „კომუნისტში“ მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო ვინმე ვ. ასატუროვი, რომელიც სპეკულაციას ეწეოდა ქრომის ტყავით.

ქ. თბილისის ქალაქის პროკურატურა გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ვ. ასატუროვი მიცემულია სამართალში.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციამ მიიღო წერილი, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ ზესტაფონის რაიონის ბოლოვის სასოფლო მაღაზიის გამგე-გამყიდველი ვ. ჭუმბურიძე უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს, არღვევდა ვაჭრობის წესებს და ამახინჯებდა საქონლის ფასებს.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს.

როგორც რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. შემოწმების შედეგები განიხილა რაიაღმასკომმა. სოფელ ბოსლოვის მაღაზიის გამგე-გამყიდველი ვ. ჭუმბურიძე მომხმარებლებთან უხეში მოპყრობისა და ვაჭრობის წესების დარღვევისათვის მოხსნილია სამუშაოდან.

მედვედოვსკელი მექანიზატორები საქართველოში

როგორც ცნობილია, მედვედოვსკის მტს-ის მექანიზატორებმა თავიანთი შესანიშნავი გამოცდილება საქართველოს მექანიზატორებს გააცნეს გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით. ეს იყო გასული წლის შემოდგომაზე. ამან დიდი გამოძახილი ჰპოვა წითლის მტს-ის მექანიზატორებში. მათ გადაწყვიტეს ჩაბმულიყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მედვედოვსკელ მექანიზატორებთან.

ასე ჩაეყარა საფუძველი 1954 წლის დასაწყისში მედვედოვსკისა და წითლის მტს-ების კოლექტივებს შორის საქმიან მეგობრობას. რუსი და ქართველი მეგობრები მიწერ-მოწერით ატყობინებდნენ ერთმანეთს მოპოვებულ წარმატებებს და უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას.

ამ დღეებში მედვედოვსკელი მექანიზატორების დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ბულაევი (ხელმძღვანელი), დისპეტჩერი ი. ბრუსი, აგრონომი ი. ფისენკო, კომბაინერი ვ. ხლიუსტოვი, კომკავშირული სტრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ვ. ზაიცევი, ესტუმრა წითლის მტს-ის კოლექტივს, სადაც ოთხი დღე დაჰყო.

ისინი გაეცნენ მტს-ისა და მისი ზონის კოლმეურნეობათა მუშაობას. მათი მოწონება დაიმსახურა იმან, რომ მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებული 20,7 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, გასულ წელთან შედარებით თვითეული საფურაუე ძროხის წველადობა გაზრდილია 200 ლიტრით, პირუტყვისათვის შექმნილია კარგი საკვები ბაზა.

— ეს წარმატებანი, — თქვა საუბარში დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ნ. ბულაევმა, — გვახარებს ჩვენ, რუს მეგობრებს. ჩვენთან მექანიზაცია კარგად არის განვითარებული. მედვედოვსკის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში მოყვანილია საშუალოდ ჰექტარზე 18,6 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი, 28 ცენტნერი სიმინდი, 17,7 ცენტნერი მზესუმზირა.

მედვედოვსკელმა და წითლის მტს-ის მექანიზატორებმა გადაჭარბებით გაანაღდეს ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის დავალება. განსაკუთრებით დაგვაინტერესა წითლის მტს-ის ზონის ჯაფარიძის სახელობის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობათა წარმატებებმა. აქ კარგად მოუწყვიათ მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია. მედვედოვსკში ჩასვლისთანავე წამოვაყენებთ წინადადებას კოლმეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ვფიქრობთ მოვაწყოთ კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზით“ შეჯიბრება ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობასთან, აგრეთვე მედვედოვსკის მტს-ის ზონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა ჩაებას შეჯიბრებაში წითლის მტს-ის ზონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობასთან.

მედვედოვსკის მტს-ისა და წითლის მტს-ის მექანიზატორებმა გააფორმეს 1955 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

მედვედოვსკელი მექანიზატორების დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ს. ვაჩეიშვილმა და ესაუბრა მათ მექანიზატორთა წინაშე დასახულ ახალ ამოცანებზე, უსურვა ორივე მტს-ის მექანიზატორებს წარმატება 1955 წელსაც.

მედვედოვსკელი სტუმრები დიდად კმაყოფილი დარჩნენ ქართველი მეგობრების გულთბილი, საქმიანი შეხვედრებით. მედვედოვსკელთა დელეგაციამ ქ. გორში დაათვალიერა დიდი სტალინის სახლ-მუზეუმი და გაემგზავრა სამშობლოში.

სურათზე: (მარცხნიდან-მარჯვნივ) კრასნოდარის მხარის მედვედოვსკის მტს-ის მექანიზატორთა დელეგაციის წევრები: დისპეტჩერი ი. ბრუსი, ნ. ბულაევი (დელეგაციის ხელმძღვანელი), კომბაინერი ვ. ხლიუსტოვი, ბრიგადირი ვ. ზაიცევი და აგრონომი ი. ფისენკო მთავრობის სასახლესთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გამსვლელი სამეცნიერო სესია

ამ დღეებში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა გამართა გამსვლელი სამეცნიერო სესია სოხუმის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში.

სესიაზე, რომელიც გახსნა აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა შ. გოგოხიამ, შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა პროფესორმა დ. მამამთავრიშვილმა. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ზურაბაშვილი.

მოსმენილ იქნა 25 მოხსენება, რომლებიც მიეძღვნა ფსიქონევროლოგიის ისეთ საკითხებს, როგორიც არის შიზოფრენია, ფსიქოზების ეთიოლოგია და კლინიკური საკითხი, რეაქტიული ფსიქონევროზები, სულით ავადმყოფთა მკურნალობა, ფსიქონევროული დაავადების ნეიროდინამიკა. მომხსენებელთა შორის იყვნენ პროფესორები ს. ენუქიძე, ვ. გობრონიძე, ი. მენთეშაშვილი, აგრეთვე სოხუმელი ექიმები ბ. გეგეჭკორი, ნ. სენკლოკოვა, დოცენტი ნ. შუბლაძე, უფროსი მეცნიერი მუშაკი ს. კურდინა.

მოვაწესრიგოთ საკომლო აღრიცხვა

როგორც სასოფლო საბჭოების, ისე ადგილობრივი საფინანსო და დამზადების ორგანოების ოპერატიული მუშაობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის დაყენებული საკომლო (სამეურნეო) აღრიცხვა, რამდენად ზუსტად არის შეტანილი საკომლო წიგნებსა და სიებში კოლმეურნეების, მუშა-მოსამსახურეებისა და მოსახლეობის დანარჩენი ჯგუფების მეურნეობათა ძირითადი მაჩვენებლები.

რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების სასოფლო საბჭოებში საკომლო აღრიცხვა სათანადოდ არ იყო მოგვარებული. საკომლო წიგნებსა და სიებში შეცდომები და დამახინჯებები იყო. ამის გამო ზოგიერთ სასოფლო საბჭოში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არასწორი გაწერის ფაქტები და სხვა დამახინჯებანი გვხვდებოდა.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გადაისინჯა აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმები. სახელმწიფო სტატისტიკურმა ორგანოებმა შეცვალეს და გაამარტივეს სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნებისა და სიების ფორმები. ახალი ფორმის წიგნები უკვე დაეგზავნათ ადგილებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად ახალი საკომლო წიგნები და სიები უნდა გაიხსნას 1955 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ყველა სასოფლო საბჭოში, აგრეთვე იმ სადაბო საბჭოებში, რომლებშიც, გარდა დაბისა, შედის სოფლის ტიპის დასახლებული პუნქტები.

რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ამ საქმეს. დროულად უნდა მოეწყოს სასოფლო საბჭოების მდივნების ინსტრუქტაჟი. რაიონულ საინსტრუქტაჟო თათბირს აუცილებლად რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარე უნდა ხელმძღვანელობდეს. საჭიროა საკომლო წიგნების გახსნისა და მათი წარმოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟი ჩაატაროს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონსპექტორმა.

საკარმიდამო ნაკვეთების შესახებ საკომლო წიგნების ჩანაწერების საფუძველს წარმოადგენს კოლმეურნეობის ზონარგაწერილი და მიწების რეგისტრაციის წიგნები. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა წინასწარ უნდა უზრუნველყონ ამ წიგნების მონაცემების შემოწმება და დაზუსტება.

მსხვილ სასოფლო საბჭოებში მარტო მდივანი ვერ შეძლებს 15 დღის განმავლობაში ყველა მეკომურისა და დროებითი მობინადრის შემოვლას და მათ ჩაწერას საკომლო წიგნებსა და სიებში. ამიტომ მის დასახმარებლად უნდა შევარჩიოთ სათანადოდ შემოწმებული და მომზადებული მუშაკი. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივი საფინანსო და დამზადების ორგანოების მუშაკებმა. საკომლო წიგნებისა და სიების ჩანაწერების სისწორეს სისტემატიურად უნდა ამოწმებდნენ რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონსპექტორი, ამასთან რაისაბჭოს აღმასკომი მოვალეა პერიოდულად განიხილავდეს შემოწმების შედეგებს და სათანადო ზომებს იღებდეს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საკომლო წიგნებისა და სიების ჩანაწერების სისწორისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად სასოფლო საბჭოს მდივანსა და თავმჯდომარეს ეკისრებათ. იმ შემთხვევაში, თუ ძნელი გახდება რომელიმე მაჩვენებლის გარკვევა, მაგალითად, ამა თუ იმ მეკომურის მიკუთვნება საზოგადოებრივ ჯგუფზე (კოლმეურნე, მუშა, მოსამსახურე და სხვა), ან ოჯახის უფროსის გარკვევა და სხვა, საკითხს გადაწყვეტს სასოფლო საბჭოს ან რაისაბჭოს აღმასკომი.

საკომლო წიგნები და სიები უნდა ინახებოდეს ფულადი საბუთებისა და ფასიანი ქაღალდების თანაბრად.

საკომლო აღრიცხვა მნიშვნელოვანი საქმეა. ამიტომ მას მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ რაისაბჭოებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომები.

ე. მაჩაბელი,
საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

გავაძლიეროთ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა

მრავალი ათეული წლის წინათ თურმე ერთი ინდოელი ბრამინი შეხვდა სწავლულს და მასთან დაიტრაბახა:

— გამიგონე, ეთიოლ! მე ღვთის მსახური ვარ. და არც ერთი არსების, თვით უმცირესი მწერის ცოდვაც კი არ მაწევს კისერზე.

სწავლულმა მას ღიმილით გაუწოდა მიკროსკოპი.

ბრამინმა დაინახა, რომ პურში, რომელსაც იგი ახლა ნთქავდა, და ერთ წვეთ წყალშიც კი, ასე ხარბად რომ სვამდა ხოლმე, მრავალი ცოცხალი არსება მოძრაობდა.

გაბრაზებულმა ბრამინმა მიკროსკოპი ქვაზე დაახეთქა.

ამ ძველ ამბავში ცხადია ორი ალეგორია — სწავლულისა და ბრამინის საუბრიდან ადვილად შეიძლება საერთოდ მეცნიერებისა და რელიგიის მტრული განწყობილების წარმოდგენა.

რელიგიაც და მეცნიერებაც — ორივე საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებია, ნაგრამ თავისი შინაარსით ერთიმეორისადმი უკიდურესად მოპირისპირე.

მეცნიერება იკვლევს ჭეშმარიტებას, იგი ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნით აიარაღებს საზოგადოებას და ამავე დროს შუქს ჰფენს საკითხებს, რომელთა შესახებაც კაცობრიობამ ძალიან ნაკლები, ან სავსებით არაფერი იცოდა.

რელიგია კი, პირიქით, ადამიანთა უმეცრებაში იკიდებს ფესვს და მით საზრდოობს. რაც უფრო დიდია უვიცობა, მით უფრო მეტია ფანატიზმი, სასწაულისა და ზებუნებრივი ძალებისადმი რწმენა. მართალია, რელიგიაც, ისევე როგორც მეცნიერება, ბუნებისა და საზოგადოების „ახსნას“ და „ასახვას“ წარმოადგენს. მხოლოდ მეტად თავისებურს — ფანტასტიკური, ზებუნებრივი ძალებისადმი რწმენით გაჟღენთილს. რელიგიის მიერ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების „ახსნა“ ანტიმეცნიერული — ფანტასტიკურია, ხოლო მისი „ასახვა“, კ. მარქსის ტერმინი რომ ვიხმაროთ, „უკულმართი“.

მეცნიერების განვითარებაც და მეცნიერულმა აღმოჩენებმა ლახვარი ჩასცა რელიგიას. მეცნიერება ობიექტურ კანონზომიერებათა შეცნობას, ფაქტებს ემყარება და შეუძლია არა მარტო სწორად განსაზღვროს არსებული მოვლენები და გამოიყენოს ისინი ადამიანთა კეთილდღეობისათვის, არამედ ისიც გაარკვიოს, თუ მოცავალში ზუსტად რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ მოვლენის შემდგომ განვითარებას. რელიგია კი მისტიკურ ქადაგებებზეა დაფუძნებული და „მისნური ხილვით“ წინასწარმეტყველებს მომავალს.

რელიგიის არსებობა ექსპლოატატორულმა საზოგადოებამ დააკანონა. იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ ფართოდ გამოიყენა რელიგია, რადგან მასში ჰპოვა ეშრომელი მასების ჩაგვრის საუკეთესო იარაღი.

სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არ არსებობს რელიგიის კლასობრივი საფუძველი. მაგრამ ცალკეული ადამიანების შეგნებაში რელიგიური გადმონაშთების არსებობა ხელს უშლის კომუნიზმის მშენებლობას.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მორწმუნეთა გრძნობების შელახვას. ადმინისტრაციულ ჩარევას ეკლესიის საქმიანობაში.

ყველასათვის ნათელია, რომ საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა დიდი ხანია განთავისუფლდა რელიგიური გადმონაშთებისაგან. გაიზარდა მშრომელთა შეგნება, თუმცა გვხვდებიან ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი სხვადასხვა რელიგიურ ცრურწმენათა-თვის. მიუხედავად ამისა, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ საქმიანობაში.

ცხადია, მორწმუნეთა მიმართ ადმინისტრაციული ზომების მიღებას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ რელიგიის წინააღმდეგ ასეთი „მეთოდით“ ბრძოლა შეუთავსებელია მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდაში პარტიისა და მთავრობის პოლიტიკასთან.

როცა ვლაპარაკობთ რელიგიურ გადმონაშთებსა და ცრურწმენებზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთ ჩვენს ადამიანში, განსაკუთრებით ძველი თაობის ხალხში რელიგიური ურწმენა გაქრა, მაგრამ მის ადგილზე ახალ მავნე ტრადიციული ჩვევები დარჩა.

ასეთ ხალხს. მართალია, აღარც ღმერთი სწამთ, აღარც მისი „სასწაულთმქმედი“ ძალა, არც რელიგიური დღესასწაულების ძალიერება სჯერათ, მაგრამ, ძველ ჩვეულებას აყოლილნი, ისინი ახლაც ნეზობელ სოფელში ნათესავს ან მეგობარს რელიგიურ დღესასწაულზე ესტუმრებიან ხოლმე.

მსგავს ჩვევაზეა მოთხრობილი მწერალი ქალის ვ. პანოვას მოთხრობაში „ნათელი ნაპირი“. მოხუცს ღმერთი არ სწამდა, იძახდა, რელიგია გადმონაშთია, ღმერთი არა მწამს და არც ღვთისმშობლობა მჯერაო, მაგრამ საღამოს თუ ძაღლის ყმუილს გაიგონებდა, ან სარკე გაუტყდებოდა, შემკრთალი პირჯვარს გადაიწერდა.

საერთოდ ასეთი ჩვევები ახალგაზრდობაზე მავნე გავლენას ახდენს. ამიტომ ხდება, რომ რელიგიურ დღესასწაულზე პოხუცებს შორის ახალგაზრდებსაც შეამჩნევთ. ესენი ბაბუების ან ბებიების ხათრით, მეტწილად სეირის საყურებლად მიდიან იქ და თვალი უფრო სუფრისაკენ უჭირავთ, ვიდრე ეკლესიისაკენ.

განა საჭირო არ არის განვუმარტოთ მათ, რომ ძველი, დრომოჭმული ჩვეულებები წინ ეღობება ჩვენს განვითარებას და აბრკოლებს მას? — ცხადია, საჭიროა.

თუ ასეთ ფაქტებს მაინც ვხვდებით, უდავოა, რომ აქ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა და ალმზრდელობითი მუშაობა მოიკოჭლებს. განა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ცნებასთან შეიძლება შეთავსდეს „ყოველი შემთხვევისათვის“ პირჯვრის წერა, ამორალური საქციელი, ლოთობა, ხულიგნობა, რაც ასეთ დღესასწაულებს მოსდევს ხოლმე?

ფაქტები მეტყველებენ, რომ ცუდად იყო დაყენებული მეცნიერულ-ათეისტური მუშაობა, თორემ ნახშირიანელი კომკავშირელები (ქუთაისის რაიონი) რელიგიურ დღესასწაულ „ეკენობაზე“ როდი დათვრებოდნენ. საკითხავია, სად იყვნენ კოლმეურნეობის ან სკოლის პარტიული ორგანიზაციები — რატომ არ აწარმოებდნენ ფართო ახსნაგანმარტებითს მუშაობას?

თუ ჩვენ ვამბობთ, რომ სახელმწიფოს ბიმართ რელიგია კერძო საქმეა და მისი რწმენა თვითეული მოქალაქის უფლებასა და სინდისზეა დამოკიდებული, იგი არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლება კერძო საქმედ ჩაითვალოს მოზარდ თაობასთან, კომკავშირელებთან დამოკიდებულებაში.

გულისწყრომას იწვევს ის ამბავი, რომ გვხვდება ცალკეული ფაქტები, როცა პარტიის ზოგიერთი წევრი, პედაგოგი უარს არ ამბობს რელიგიური რიტუალის შესრულებაზე. როგორი მაგალითი იქნება ასეთი ვაი-პედაგოგის ქცევა მოსწავლისათვის?!

ასეთი მოქმედება არცხვენს როგორც პედაგოგის, ისე პარტიის წევრის მაღალ ღირსებას. საბჭოთა სკოლას დიდი აღმზრდელობითი როლი აკისრია. მან უნდა შეძლოს ზოგიერთი მშობლის აღზრდაც კი, ყოველ შემთხვევაში მასზე აქტიური ზეგავლენა. ამას მოითხოვს მასწავლებლისა და ოჯახის კონტაქტის პრინციპი.

პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტის მუშაკმა და პროპაგანდისტებმა შეიძლება კმაყოფილებით ჩამოთვალონ, თუ მათგან ვინ რამდენი ლექცია მოამზადა და წაიკითხა მეცნიერულ-ათეისტურ თემაზე. მაგრამ მთავარია არა რაოდენობა, არაფედ შედეგი, ლექცია-მოხსენებების ქმედითობა, ზეგავლენა. ეს ბევრ ადგილას ფორმალურ-ბიუროკრატიულ ხასიათს ატარებს. ეს ეხება

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ეროვნული კრების დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პარიზის შეთანხმებათა შესახებ. სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის წევრის ბელენის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ ამ პარტიის საპარლამენტო ჯგუფი ხმას არ მისცემს შეთანხმებათა რატიფიკაციას, სიტყვა მიეცა კომუნისტ მიუსმის. აღნიშნა რა საფრანგეთის საზოგადოებრიობის დიდი შეშფოთება დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საფრთხესთან დაკავშირებით, მიუსმის თქვა, რომ ხალხის ნების შესაბამისად კომუნისტი დეპუტატები ხმას მისცემენ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ.

დამოუკიდებელმა რესპუბლიკელმა პიერ ანდრემ, რომლის სიტყვას მოუნდა სხდომის ერთ-ერთ ნაწილი, განაცხადა, რომ ერთგულია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირისა და თავის თავს ნება მისცა დაეშვა უხეში გამოხდომები სუბუთა კავშირის წინააღმდეგ. იგი შეეცადა სსრ კავშირისათვის დაებრალებინა ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დაადგნენ გერმანიის შეიარაღების გზას. მაგრამ ანდრე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა „არ არის გამართლებული არც სამხედრო და არც პოლიტიკური თვალსაზრისით". მან განაცხადა, რომ ახლანდელ ვითარებაში მიზანშეწონილი არ არის დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია ცუდი „სამშობლო საზეიმო" იქნებოდა გერმანელი ხალხისათვის.

ამის შემდეგ სხდომა შეწყდა 16 საათამდე ადგილობრივი დროით. მთავრობის მეთაურის მენდეს-ფრანსის წინადადებით 15 საათისათვის მოწვეულია საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირი, გარდა კომუნისტების ჯგუფისა. პარლამენტის კულუარებში აღნიშნავენ, რომ თათბირის მიზანია ცდა — მიაღწიონ შეთანხმებას მომავალი კენჭისყრის საკითხზე.

პარიზი, 23 დეკემბერი. (საკდესი). 16 საათზე ეროვნულ კრებაში მღელვარე ვითარებაში განახლდა კამათი პარიზის შეთანხმებათა გამო. გამოირკვა, რომ საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენელთა თათბირზე (სადაც მიწვეული არ იყვნენ კომუნისტები), რომელიც სხდომის დაწყების წინ დამთავრდა, მენდეს-ფრანსმა განაცხადა, რომ აპირებს დღეს დასვას ნდობის საკითხი, და მოითხოვა, რომ უარყონ ყოველი რეზოლუცია კამათის გადადების შესახებ. მენდეს-ფრანსი ამას იმით ასაბუთებდა, რომ კონსტიტუციის დებულების თანახმად ნდობის საკითხის დასმის შემდეგ გთვალისწინებულია 24 საათის ვადა მოფიქრებისათვის, რის შემდეგ შეიძლება მოხდეს კენჭისყრა ნდობის საკითხზე. ამრიგად, მენდეს-ფრანსი ვარაუდობდა კვლავ მოეხდინა ზეგავლენა დეპუტატებზე ნდობის საკითხის დასმის საშუალებით, უზრუნველეყო პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია ხვალ დღისით. ამასთან მას მზედგელობაში ჰქონდა, რომ ზოგიერთ დეპუტატს სურს საშობაო დღესასწაულებზე წავიდეს თავის საარჩევნო ოლქში.

როდესაც დღის სხდომა განახლდა, დეპუტატმა ვეფსან ბაკიმ (რადიკალი) შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს გადაიდოს საარის შესახებ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებათა რატიფიკაცია მანამდე, სანამ საფრანგეთის მთავრობა და ზონის მთავრობა ოფიციალურად არ შეთანხმდებიან, თუ როგორ უნდა განმარტოს ეს შეთანხმებანი. რამდენადაც მთავრობა სარატიფიკაციოდ აგზავნის პარიზის შეთანხმებათა მთელ კომპლექსს, ასეთი რეზოლუციის მიღება ნიშნავს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის გადადებას.

ამის შემდეგ მაშინვე გამოვიდა მენდეს-ფრანსი. მან განაცხადა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს დასვას ნდობის საკითხი, და რომ წინააღმდეგია ყოველი „წინასწარი საკითხისა" ან რეზოლუციისა გადადების შესახებ და ყოველი დამატებითი მუხლისა, და მოითხოვს დაიწყოს რატიფიკაციის კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა. საჭიროა გავიხსენოთ, რომ „წინასწარი საკითხის" მიღება ნიშნავს კამათის გადადებას განუსაზღვრელი ვადით, როგორც მოხდა ეს ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მიმართ. რეზოლუცია გადადების შესახებ გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ დისკუსია გაიმართოს უფრო გვიან. ამას გარდა, მენდეს-ფრანსმა წინადადება შეიტანა, რომ ამასთანავე გგრძელდეს დისკუსია და ჩითვალოს, რომ 24 საათის ვადა, რის გასვლის შემდეგ ეროვნულმა კრებამ კენჭი უნდა უყაროს ნდობის საკითხზე, იწყება დღეს დღისით.

მთავრობის მეთაურის ასეთმა განცხადებამ, რაც აშკარად ირღვევს საპარლამენტო პროცედურას, რომლის თანახმად არ შეიძლება ნდობის საკითხის დასმა, სანამ საერთო დისკუსია გრძელდება, დეპუტატთა მკვეთრი წინააღმდეგობა გამოიწვია. ზოგიერთი მათგანი აღნიშნავდა, რომ უპრეცედენტოა მენდეს-ფრანსის წინადადება — გაგრძელდეს დისკუსია „მოფიქრების ვადის" განმავლობაში.

დეპუტატების წინააღმდეგობის გამო, მენდეს-ფრანსმა მაშინვე აღარ დასვა ნდობის საკითხი და მწუხარება გამოთქვა ამის გამო, რადგანაც, როგორც მან აღიარა, იგი ჩქარობს, „რომ უცხოეთის სახელმწიფოებმა, რომლებსაც აინტერესებთ ამ კამათის ბედი, წინასწარი კენჭისყრის მიხედვით მაინც გაიგონ დისკუსიის ევოლუცია".

რამდენადაც მენდეს-ფრანსმა ვერ შეძლო განეხორციელებინა თავისი ტაქტიკური მანევრი, მან განაცხადა, რომ დისკუსია გაგრძელდება „მთელი ღამე და ნაწილობრივ ხვალ", რათა რატიფიკაციის კენჭისყრა რაც შეიძლება მალე მოხდეს.

დისკუსიის განახლების შემდეგ გამოვიდა რობერ შუმანი (სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტია). მიუხედავად მისი გამოსვლის მთელი დაბნეულობისა, მან აღიარა, რომ პარიზის შეთანხმებათა საბოლოო კენჭისყრა ადვილი საქმე რიდია, რადგან უნდა გადაწყდეს არა მარტო გერმანიის პრობლემა, არამედ აღმოსავლეთთან ურთიერთობის პრობლემაც. მან თქვა, რომ სსრ კავშირს არა აქვს არავითარი აგრესიული გეგმები, რომ ამ ბოლო დროს შემჩნეულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობის ერთგვარი შენელება. უშიშროების პრობლემა, განაგრძო შუმანმა, დგას როგორც ჩვენს წინაშე, ისე სსრ კავშირის წინაშეც, რომელსაც უშიშროების ასეთივე უფლება აქვს. სწორედ ამ საკითხზე უნდა გაიმართოს მოლაპარაკება მომავალ თათბირზე. ჩვენს თანამოსაუბრეებს უნდა შევთავაზოთ ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავმართოთ მოლაპარაკება. მაგრამ შუმანმა არ დააყოვნა მოეთხოვა „კეთილი ნების" ეგრეთწოდებული დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც უნდა წარმოადგინოს სსრ კავშირმა.

დეპუტატებმა დიდი ყურადღებით მოუსმინეს ეროვნული კრების საპატიო თავმჯდომარეს ედუარდ ერიოს, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ლაპარაკობდა დამჯდარი, ადგილიდან.

— მე ვერ მივცემ ხმას პარიზის შეთანხმებებს, — თქვა მან. — ეს შეთანხმებანი გამოიწვევენ იმას, რომ ჩვენ დავკარგავთ უპირატესობებს, რომლებიც მოვიპოვეთ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე, კერძოდ პოტსდამში მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ერიომ თქვა, რომ რეაქციულ და რევანშისტულ გერმანიასთან ერთად არის მეორე გერმანია, რომელიც შედგება ახალგაზრდობისაგან, პროფკავშირებისა და სოციალ-დემოკრატებისაგან.

როგორც ფრანგსა და რესპუბლიკელს, თქვა ერიომ, მე არ მესმის, რატომ უნდა დაეხმაროს საფრანგეთი რეაქციულ გერმანიას. ისევე როგორც თქვენ, მე ვერ დავივიწყებ ჩვენს ამდენ დაღუპულ ძმებს, რომლებმაც დაგვაკისრეს ამოცანა გვახსოვდეს მათი ბედი.

მეორე მიზეზი, რომლის გამო ერიო არ ეთანხმება პარიზის შეთანხმებებისათვის მხარის დაჭერას, ის არის, რომ საარის პრობლემა გადაუწყვეტელია. მესამე მიზეზი, მისი სიტყვით, ის არის, რომ პარიზის შეთანხმებანი საფრანგეთსა და მთელ მსოფლიოს დააყენებენ შემდგომი გამლებული შეიარაღების გზაზე, მაშინ როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიარაღების საკითხში მიღწეულია ერთგვარი პროგრესი.

— რომელი უნდა იყოს მთავარი ამ ორი მიმართულებიდან?, — იკითხა ერიომ, — თუ საფრანგეთი ხელიდან გაუშვებს შემთხვევას, რომელიც მას ახლა აქვს, ხელიდან გაუშვებს თავის მომავალს, რომლისთვისაც უბრძოლნია ესოდენ ბევრ ხის შვილს.

შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა მენდეს-ფრანსი, რომლის სიტყვა მთლიანად მიეძღვნა პარიზის შეთანხმებათა გამართულებას. მან მოუწოდა დეპუტატებს ხმა მისცენ ამ შეთანხმებათა რატიფიკაციას ისევე, როგორც მთა ორი თვის წინათ ხმა მისცეს ლონდონის თათბირზე საფრანგეთის პოზიციის მოწონებას. შეეხო რა საარის პრობლემას, მენდეს-ფრანსმა უარყო ის შესწორება, რომელიც შეიტანა რადიკალმა ბადიმ, და განაცხადა, რომ შეთანხმებანი საარის საკითხში და პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ ერთ მთელს წარმოადგენენ. მენდეს-ფრანსმა ბევრი ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის „გარანტიებზე" საარის სტატუტის მიმართ.

აღიარა რა, რომ საფრანგეთმა ბევრი ტანჯვა ნახა გერმანიის მილიტარიზმისაგან, მენდეს-ფრანსმა ამავე დროს მიმართა ძველ მტკიცებას, თითქოს დასავლეთ გერმანიას შეუძლია შეიარაღდეს უსაფრანგეთოდ. მენდეს-ფრანსის ამ განცხადებამ ბევრი დეპუტატის უკმაყოფილება გამოიწვია.

უპასუხა რა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" მომხრეებს, რომლებმაც გააკრიტიკეს პარიზის შეთანხმებანი, თავრობის მეთაურმა აღიარა, რომ განსხვავებას ამ ორ გეგმას შორის აქვს მხოლოდ „პოლიტიკური, მორალური და ფსიქოლოგიური ხასიათი", მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით მათ შორის დიდი განსხვავება არ არის.

პარიზი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ეროვნული კრების დეპუტატმა ბადიმ (რადიკალი) წარადგინა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამია:

„ითვალისწინებს რა, ერთი მხრივ, ახლანდელ საერთაშორისო ვითარებას და, მეორე მხრივ, პარიზის შეთანხმების მუხლების შინაარსს, ეროვნულმა კრებამ გადაწყვიტა გადადოს საარის შესახებ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებათა რატიფიკაცია მანამდე, სანამ საფრანგეთის მთავრობა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა ოფიციალურად არ შეთანხმდებიან იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული ეს შეთანხმებანი, ამასთან, თავისთავად იგულისხმება, რომ ეს გაგება უნდა მოიწონოს გერმანიის მთავრობამ".

პარიზი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ეროვნული კრების დღის სხდომის დასაწყისში საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა მენდეს-ფრანსმა დააყენა ნდობის საკითხი. მან მოითხოვა, რომ უარყოფილ იქნას პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის პროექტის ყოველი შესწორება და ყოველგვარ წინადადება კამათის გადადების შესახებ.

ამის გამო, რომ ბევრმა დეპუტატმა მკვეთრი პროტესტი განაცხადა საერთო დისკუსიის დახურვამდე ნდობის საკითხის დაყენების წინააღმდეგ, რაც პარლამენტის რეგლამენტის დარღვევაა, მენდეს-ფრანსმა უარი თქვა თავის განზრახვაზე, მაგრამ განაცხადა, რომ ხვალ მას შეუძლია დაუბრუნდეს ამ საკითხს.

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული კრების ღამის სხდომაზე გრძელდებოდა დებატები პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის გამო. სხდომა დაწყო რადიკალ ვენსან ბადის რეზოლუციის პროექტის კენჭისყრით, რომელშიც იგი მოითხოვდა გადაედოთ საარის შესახებ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებათა რატიფიკაცია იმ მომენტამდე, როცა საფრანგეთის მთავრობა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა ოფიციალურად შეთანხმდებიან, თუ როგორი იქნება ის განმარტება, რომელიც უნდა მიეცეს ამ შეთანხმებებს.

თუ ეროვნული კრება მიიღებს ამ რეზოლუციას, ეს იმას ნიშნავს, რომ გადადებულ იქნას განუსაზღვრელი ვადით დებატები პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ მთლიანად.

ბადის რეზოლუციის პროექტის კენჭისყრის წინ გამოვიდა მთავრობის მეთაური მენდეს-ფრანსი. ეროვნული კრების დეპუტატებზე ზეგავლენა რომ მოეხდინა, მან აღნიშნა, თუ რა „სერიოზული საერთაშორისო შედეგები" მოჰყვება ბადის რეზოლუციის პროექტის მოწონებას.

შემდეგ გაიმართა კენჭისყრა. ბადის რეზოლუცია ხმის უმრავლესობით უარყვეს.

კენჭისყრის შემდეგ გამოსულმა კომუნისტმა დეპუტატმა პიერ ფაილ ამხილა პარიზის შეთანხმებათა ნამდვილი აზრი, რომელთა მიზანია დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და რომლებიც ეწინააღმდეგება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. იმის შესახებ, რომ საჭიროა პარიზის შეთანხმებათა უარყოფა, განაცხადა აგრეთვე კომუნისტმა დეპუტატმა მარსელ როზენბლატმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ელზასის და მოზელის დეპარტამენტების მცხოვრებთ ძვირად დაუჯდათ გერმანიის შემოჭრა. და ამიტომ ისინი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგი არიან.

საფრანგეთის „ზღვისგაღმა ტერიტორიების" ორი დეპუტატის გამოსვლის შემდეგ, რომლებიც მოითხოვდნენ აგრეთვე პარიზის შეთანხმებათა უარყოფას, კამათში ჩაწერილ დეპუტატთა სია ამოიწურა. სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის საპარლამენტო ჯგუფის წინადადებით გამოცხადდა შესვენება, რომლის შემდეგაც უნდა დაიწყოს პარიზის შეთანხმებათა მუხლობრივი განხილვა.

როგორც ეროვნული კრების კულუარებში გამოირკვა, შესვენების დროს გაიმართა სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თათბირი.

ეროვნული კრების სხდომის განახლების შემდეგ სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის საპარლამენტო ჯგუფის წევრმა დე მანტონმა სხდომას აცნობა ჯგუფის გადაწყვეტილება, რომელიც ეერთიანებს 85 დეპუტატს. ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის საპარლამენტო ჯგუფი ხმას მისცემს გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში მისი შესვლის წინააღმდეგ". მაგრამ ჯგუფმა გადაწყვიტა თავი შეიკავოს, როცა კენჭი ეყრება საარის შესახებ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებებს... ამასთან, საპარლამენტო ჯგუფის წევრებს უფლება ენიჭებათ თავისუფლად მისცენ ხმა.

დე მანტონის განცხადებისთანავე ტრიბუნაზე ავიდა მენდეს-ფრანსი, რომელმაც მიმართა დეპუტატებს, რომლებიც წინათ აცხადებდნენ, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებებს, და მოუწოდა დარჩნენ ამ შეთანხმებათა ერთგულნი.

მენდეს-ფრანსის გამოსვლის შემდეგ ეროვნული კრება შეუდგა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის პირველი მუხლის კენჭისყრას, რომელიც უფლებას ანიჭებს რესპუბლიკის პრეზიდენტს დაამტკიცოს ოქმი. ეს ოქმი, რომელიც ცვლის და ავსებს „ბრიუსელის ხელშეკრულებას" და ოქმებს დასავლეთ ევროპის კავშირის მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების, შეიარაღებისადმი კონტროლისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს შესახებ, რასაც ითვალისწინებენ პარიზის შეთანხმებანი.

კენჭისყრის შედეგებმა ცხადყო, რომ 280 ხმით 259 ხმის წინააღმდეგ პარიზის შეთანხმებათა პირველი მუხლი უარყოფილია.

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება:

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენდეს-ფრანსმა დასვა ნდობის საკითხი პარიზის შეთანხმებათა მე-2 და მე-3 მუხლების შესახებ.

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება:

მენდეს-ფრანსმა განაცხადა, რომ იგი მოითხოვს პარიზის შეთანხმებათა 1-ლი მუხლის მეორეჯერ წაკითხვას, რომლის მიხედვითაც იგი დასვამს აგრეთვე საკითხს ნდობის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

დელი, 23 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დელში სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში მ. ა. მენშიკოვმა და ინდოეთის ტაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ხ. ვ. რ. აიენგარმა ერთმანეთს გაუცვალეს წერილები იმის შესახებ, რომ გაგრძელდეს მორიგი სახელმეკრულებო წლისათვის საქონლის სიების ვადა, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირისა და ინდოეთის 1953 წლის 2 დეკემბრის საჯაჭრო ხელშეკრულების მოქმედების პირველი წლისათვის.

იგალიის დეპუტატთა პალატაში

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის განხილვა

რომი, 23 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დეპუტატთა პალატა განაგრძობდა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის განხილვას. დისკუსიის მსვლელობაში გამოსულმა კომუნისტმა დეპუტატებმა ნატოლიმ და კაპონიმ მოუწოდეს დეპუტატებს შეწყვეტონ განხილვა კანონპროექტისა პარიზის შეთანხმებათა შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იტალიის ეროვნულ ინტერესებს. ნატოლიმ, კერძოდ, ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს გადაწყვეტილებამ ატომური იარაღის გამოყენების საკითხზე დიდად აღაშფოთა იტალიისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი და „კიდევ უფრო გაამწვავა პარიზის შეთანხმებათა საშიში შინაარსი".

შემდეგ გამოვიდა პარლამენტის იმ უმრავლესობის მომხსენებელი, რომელიც მხარს უჭერს პარიზის შეთანხმებებს, — ქრისტიანი დემოკრატი გონელა, რომელმაც ქება-დიდება შეასხა ამ შეთანხმებებს. იცის რა, რომ მრავალ დეპუტატს აშინებს აგრესიული გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, გონელამ დაუსაბუთებლად განაცხადა, რომ ასეთი შიში თითქოს „არ არსებობს".

პარიზის შეთანხმებათა მოწინააღმდეგეების სახელით სიტყვა წარმოთქვა სოციალისტმა დეპუტატმა რიკარდო ლომბარდიმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი ლაპარაკი „კონტროლისა" და „გარანტიების" შესახებ, რომლებიც თითქოს ხელს შეუშლიან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, არაფრად ღირს, რადგან „ყველას ახსოვს, თუ როგორ შეძლო გერმანიამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განიარაღების დარღვევა კონტროლისა და გარანტიებისათვის ჯერ გვერდის აევლა, შემდეგ კი დარღვევაც".

ლომბარდიმ აღნიშნა, რომ პარიზის შეთანხმებები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკას. მან მოუწოდა დეპუტატებს ხმა მისცენ პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მარტინომ უპასუხა კამათში გამოსულ დეპუტატებს, და შეეცადა დაემშვიდებინა ისინი გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პერსპექტივის წინაშე. მარტინოს განცხადება იმის შესახებ, რომ „გერმანიის გაერთიანება აუცილებელია ევროპისათვის"... ნაკლებად შეესაბამება იმას, რომ იგი დაეინებით მოითხოვდა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, რომლებიც, როგორც ცნობილია, უსაგნოს ხდიან მოლაპარაკებას გერმანიის გაერთიანების შესახებ.

მარტინოს გამოსვლის შემდეგ დეპუტატთა პალატის სხდომა დაიხურა.

რომი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ანსას საგენტოს ცნობით, დღეს იტალიის დეპუტატთა პალატაში მოხდა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტისათვის კენჭისყრა. სხდომას დაესწრო 550 დეპუტატი. რატიფიკაციას ხმა მისცა 335 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 215 დეპუტატმა.

ჩერჩილის პასუხი შეკითხვაზე თემთა პალატაში

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს:

თემთა პალატაში შეკითხვის პასუხად ჩერჩილმა 21 დეკემბერს განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა წინანდებურად იცავს ინგლის-ამერიკის 1948 წლის შეთანხმებას შეერთებული შტატების მიერ ინგლისის ტერიტორიაზე საჰაერო ბაზების გამოყენების შესახებ.

ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში

დამთავრდა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ძველი შენობის რეკონსტრუქცია და ახალი კორპუსის აგება, რის შედეგად ინსტიტუტმა მიიღო 3.700 კვადრატული მეტრი ახალი ფართობი.

ახალ შენობაში მოთავსებულია მარქსიზმ-ლენინიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, ზოოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ანატომიის, მექანიზაციის, ბოტანიკის, ფიზიოლოგიის, ჰისტოლოგიის, სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, ეკონომიკისა და სხვა კათედრები, კაბინეტები.

ახალ შენობაში მოთავსდა აგრეთვე ბიბლიოთეკა, რომლის ფონდში 72.000 წიგნია და კეთილმოწყობილი სასპორტო დარბაზი. მეოთხე სართული მთლიანად 500-ადგილიან კლუბს, მეორე სართულზე მოთავსებულია სამეცნიერო საბჭოს სხდომათა დარბაზი, ხოლო მესამე სართულზე — ანატომიურ-ზოოლოგიური მუზეუმი, სასწავლო ლაბორატორიები და აუდიტორიები.

ინსტიტუტმა სასწავლო წლისათვის შეიძინა ახალი ავეჯი, მედიკამენტები, რეაქტივები, ელექტრომიკროსკოპი, სასწავლო რენტგენოსაპარატურა და სხვა მოწყობილობა.

სურათზე. პრაქტიკული მეცადინეობა ანატომიის აუდიტორიაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დამთავრდა საქართველოს პირველობა ფეხბურთში

დამთავრდა საქართველოს 1954 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ეს შეჯიბრება პირველი ჯგუფის უძლიერესი გუნდების მონაწილეობით რვანახევარ თვეს გრძელდებოდა. რესპუბლიკური ჩემპიონატი აღინიშნა ახალგაზრდა ფეხბურთელთა კოლექტივების თამაშის აღმავლობით, მძაფრი და საინტერესო ბრძოლით.

უკანასკნელი ორი შეხვედრა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა რუსთავის „მეტალურგთან" და გორის „დინამოსთან" დაამთავრა ფრედ 2:2 და 1:1. მახარაძის „კოლმეურნემ" მოუგო ხაშურის „ლოკომოტივს" ანგარიშით 3:1.

საქართველოს პირველობის გათამაშებაში გაიმარჯვა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა, რომელმაც 37 ჭიქა შეაგროვა (16 მოგება, 5 ფრე, 2 წაგება. ბურთების შეფარდება 52:13) და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ჩემპიონს 5 ჭიქაით ჩამორჩა ბათუმის „დინამო". ეს გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე ადგილი 29 ჭიქით დაიკავა ქუთაისის „დინამომ", მეოთხე — რუსთავის „მეტალურგმა" (26 ჭიქა), მეხუთე — მახარაძის „კოლმეურნემ" (25 ჭიქა).

ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 26 და 27 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა; სანაპირო რაიონებში ალგ-ალაგ მცირე წვიმა, დანარჩენ რაიონებში უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 11-16 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში, ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 10-15 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

რუსთაველის სახელობის თეატრში

23 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრმა მომდინარე სეზონის მესამე ახალ დადგმად მაყურებელს უჩვენა შ. გორკის პიესა „ვასა ჟელეზნოვა", თარგმანი გ. ყიფშიძისა (ფრონისპირელი).

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დ. ალექსიძეს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ირ. შტენბერგს, მუსიკა — სტალინური პრემიის ლაურეატს ო. თაქთაქიშვილს, ქორეოგრაფი — დ. მაჭავარიანი.

მონაწილეობენ სტალინური პრემიის ლაურეატი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, სტალინური პრემიის ლაურეატი რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დავითაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები თ. ჭავჭავაძე (ვასა ჟელეზნოვა) და ა. თოიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. მესხიშვილი და გ. სარჩიმელიძე, მსახიობები თ. თეთრაძე, ჟ. დუგლაძე, ნ. მგალობლიშვილი, ე. საყვარელიძე, კ. საკანდელიძე, ვ. სულაქვერიძე, ი. უჩანეიშვილი.

ახალი წიგნები

ო. გვინჩიძე — ნ. წერეთელი — უკრაინული ზეპირსიტყვიერების მკვლევარი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 3.000, გვ. 53, ფასი 70 კაპ.

ი. ურჯუმელაშვილი — სუვოროველები. სხლიტგამი. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 85, ფასი 2 მან. 25 კაპ.

1954 წლის 28 დეკემბერს საღამოს 7 საათზე მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიდ სალექციო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 29) შედგება თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების ლექტორთა თათბირი-სემინარი „უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ამოცანების შესახებ" (მომხს. დოც. გ. ხახაროვი).

რედაქტორი ნ. ჯაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

ბერლინი, 22 დეკემბერი. (საკდესი). აღნის სააგენტომ დღეს გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი ცნობა:

1954 წლის 16 დეკემბერს ბერლინის დემოკრატიულ სექტორში ჩამოვიდნენ „ბლანკის უწყების" დაზვერვის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი ფრიდრიხ ჰაინცი და „ბლანკის უწყების" დასავლეთ ბერლინის დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი იაკობ კოლბი. მათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს მიმართეს თხოვნით თავშესაფარის მიცემის შესახებ, ამასთან გადასცეს მთელი რიგი დოკუმენტები „ბლანკის უწყების" საიდუმლო სამსახურის და გელენის ჯაშუშური ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

თავიანთი თხოვნა თავშესაფარის მიცემის შესახებ მათ დაასაბუთეს იმით, რომ აღარ ეთანხმებიან ადენაურის პოლიტიკას და ამიტომ დეერას განიცდიან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოებმა განიხილეს აღნიშნულ პირთა შუამდგომლობა და თავშესაფარი მისცეს კოლბს. რაც შეეხება ჰაინცს, მას უარი ეთქვა თავშესაფარზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რადგან იგი მონაწილეობას იღებდა გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე ერცბერგერსა და ვაიმარის რესპუბლიკის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ რატენაუზე თავდასხმის მომზადებაში.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის საჰაერო ურთიერთობისათვის

ოპერისა და ბალეტის თეატრი

25 დეკემბერს
ჟ. ბიზე—**კარმენი**

26 დეკემბერს დღის 12 საათზე
პ. ჩაიკოვსკი—**გედების ტბა**
საღამოს
ზ. ფალიაშვილი—**დაისი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შეიძლება ბოიგოთ 100.000 მანეთი

სახელმწიფო 3% შინაგან მოგებიან სესხზე ყოველწლიურად ეწყობა მოგებათა ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

მოგებათა მორიგი მერვე დამატებითი ტირაჟი გაიმართება 1955 წლის 30 სექტემბერს.

ამ ტირაჟში გარდა **50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400** მანეთიანი მოგებებისა, გათამაშდება აგრეთვე **100.000-მანეთიანი** მოგება.

მერვე დამატებითს ტირაჟში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის ობლიგაციები, რომლებსაც თან ახლავს № 8 და ყველა მომდევნო ტალონი.

№ 8 ტალონიან ობლიგაციებს შემნახველი სალაროები ჰყიდიან 1955 წლის 1 იანვრამდე. ობლიგაციებს, რომლებიც 1955 წლის 1 იანვრიდან გაიყიდება, № 8 ტალონი აღარ ექნება.

შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის ობლიგაციები.

სესხის ობლიგაციებს ჰყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.